გ ა ნ ა ც ხ ა დ ი

2020-2021 წლის საუკეთესო პრაქტიკის პროგრამაში მონაწილეობაზე

ხულოს მუნიციპალიტეტი

1. **პრაქტიკის/ინიციატივის სათაური:** მოქალაქეთა ჩართულობა ადგილობრივ თვითვართველობაში;

2. **თემატიკა: მოქალაქეთა მონაწილეობა;**

3. **პრაქტიკის/ინიციატივის ავტორი/ინიციატორი:** ხულოს მუნიციპალიტეტის მერია;

4. **მუნიციპალიტეტის ზოგადი მონაცემები:** ხულოს მუნიციპალიტეტი მდებარეობს საქართველოს სამხრეთ-დასავლეთში, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში. სამხრეთიდან ესაზღვრება თურქეთი, დასავლეთით შუახევი, ჩრდილო-დასავლეთით ოზურგეთი, ჩრდილოეთით ჩოხატაური, ხოლო აღმოსავლეთით ადიგენის მუნიციპალიტეტი. ხულოს ფართობი 710 კვადრატული კილომეტრი, ხოლო მოსახლეობა 25 500. ადმინისტრაციული ცენტრია დაბა ხულო, სადაც ცხოვრობს 1100 მოსახლე. მუნიციპალიტეტის ტერიტორია მთაგორიანია და ვცელდება ზრვის დონიდან 400-3007 მეტრის ფარგლებში. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარეობს მდინარეები: აჭარისწყალი, სხალთა, ღორჯომი და დიაკონიძეები. ძირითადი ტბებია: მწვანე ტბა, ოწინარის ტბა და შავი ტბა. უმარლესი მწვერვალია ყანლის მთა, რომელიც მდებარეობს ზღვის დონიდან 3007 მეტრზე. ხულოს მუნიციპალიტეტი იყოფა 13 ადმინისტრაციულ ერთეულად.

5. **მუნიციპალიტეტის მახასიათებლები**: აღსანიშნავია, რომ საქართველო არის ევროპის ადგილობრივი თვითმმართველობის ქარტიის მხარე. ქარტიის პრეამბულა ხაზს უსვამს, რომ დემოკრატიის ფუძემდებლური პრინციპია, მოქალაქეთა უფლება, განახორციელონ საჯარო მართვა. ამასთან, თვითმმართველობის ქარტია არსად მოიაზრებს მოქალაქეთა პირდაპირ ჩართულობასაც. 2009 წლის ნოემბერში ქარტიას დაემატა ოქმი „ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობაში მონაწილეობის უფლების შესახებ“, რომელიც ავალდებულებს ხელმომწერ სახელმწიფოებს, ყველა ადამიანს მისცეს უფლება და შესაძლებლობა, ჩაერთოს თვითმმართველობის საქმიანობაში. ოქმის მე-2 მუხლი კონკრეტულ ზომებს ასახელებს მოსახლეობის ამ უფლების განსახორციელებლად:

   - **შიდა ფაქტორები** - ადგილობრივი ორგანოს გაძლიერების მიზნით, მოსახლეობის წახალისების გაზრდის და გამარტივების მიზნით შემუშავდა მოქალაქეთა მონაწილეობის მიზნით პროგრამა. კონკრეტული ნაბიჯები გადაიდგა ამ მიმართულებით, მათ შორის: საზოგადოების ჩართვის პროცედურები შემუშავდა, რამაც მოიცვა საკონსულტაციო პროცესები და პეტიციები. რადგანაც

მუნიციპალიტეტი დიდია და მოსახლეობის რაოდენობაც დიდია ტერიტორიულად ხელმისაწვდომობის მიზნით მოქალაქეთა ჩართულობის მიზნით ადმინისტრაციულ ერთეულებში დაიგეგმა შეხვედრები. კონსტიტუციისა და კანონის შესაბამისად, მოსახლეობისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილია, ასევე დაიწყო იმ პირთა მოთხოვნების დაკმაყოფილების გზების მოძიება, რომელთაც ჩართულობის ხელშემშლელი გარემოებები ჰქონდათ. ამ ყველაფრის ორგანიზებას კი ხელი შეუწყო საჯარო მოხელეების მაღალმა კვალიფიკაციამ, რა თქმა უნდა მნიშვნელოვანია ფინანსური ფაქტორიც რომელიც ასევე გათვალისწინებული იყო ამ მიმართულებით საქმიანობის განხორციელებისათვის და ასევე ტექნიკური შესაძლებლობები, რომელიც ერთ-ერთ მნიშნელოვან ფაქტორს წარმოადგენს

გარე ფაქტორები - ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური მდგომარეობის, ასევე, მუნიციპალიტეტის საქმიანობაზე გავლენის მქონე სხვა ფაქტორებია: შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ბათუმი(ანგისა)-ახალციხის საავტომობილო გზა, რომელიც დასახლებულ ტერიტორიაზე გადის და მას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ადგილობრივი მოსახლეობისთვის. ხულო-ზარზმის გზა, სამცხე-ჯავახეთისა და აჭარის რეგიონებს უმოკლესი გზით აკავშირებს ერთმანეთთან. გზა გაივლის გოდერძის უღელტეხილსას. (ამ დროისთვის მიმდინარეობს აღნიშნული გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები) მნიშვნელოვანია რომ აღნიშგანახლებული გზით, ბათუმიდან ახალციხემდე მგზავრობის დრო 1.5 სთ-ით შემცირდება. პროექტის განხორციელების შემდეგ, ტურისტული ნაკადი გაიზრდება, რაც ადგილობრივ მოსახლეობას ახალ შესაძლებლობებს გაუჩენს. პოლიტიკური მდგომარეობის თვალსაზრისით მუნიციპალიტეტში სტაბილური მდგომარეობა გვაქვს, დემოკრატიის პრინციპებზე დაფუძნებული, რაც კიდევ უფრო გვიადვილებს და ხელს უწყობს აღნიშნული პროექტის განხორციელებას. ხულოს მუნიციპალიტეტის მერია ასევე ჩართულია ისეთ მსხვილ საერთაშორისო პრექტებში როგორებიცაა „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“, „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ წარმოადგენს ევროკავშირის ინიციატივას, რომელიც 2016 წლის 26 ოქტომბერს, ქალაქ ერევანში მიმდინარე მაღალი დონის კონფერენციის დროს დაიწყო და მიმართულია აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში მოქმედ ადგილობრივ ხელისუფლებებზე: სომხეთი, აზერბაიჯანი, ბელარუსი, საქართველო, მოლდოვა და უკრაინა "მერები ეკონომიკური ზრდისთვის" მთავარ მისიას მდგრადი ადგილობრივი ეკონომიკური განვითარება წარმოადგენს. მისი მიზანია მერებისა და მუნიციპალიტეტების მხარდაჭერა ადგილობრივ დონეზე, რათა მათ აქტიურად შეუწყონ ხელი ეკონომიკურ განვითარებასა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, რის მიღწევასაც საკუთარი შესაძლებლობების გაფართოებისა და ტექნიკური უნარების განვითარებით და კერძო სექტორსა და სამოქალაქო საზოგადოებასთან თანამშრომლობის მეშვეობით შეძლებენ. ამ ინიციატივის მოხალისეობრივი საწყისი, გამაერთიანებელი მიდგომა და კონკრეტული მიზნები არის მიზეზი იმისა, რომ „მერების შეთანხმება“ წარმოადგენს ძალზედ წარმატებული პროექტს აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონში და ასევე ჩართულია აჭრის წყლის ალიანსის პროექტში რომელიც ითვალისწინებს აჭარის დაბებისა და სოფლების წყალმომარაგებისა და სყალანირების პროგრამას, რომელიც ხორციელდება გერმანია-საქართველოს შორის ფინანსური თანმშრომლობის ფარგლებში და ევროკავშირის მხარდაჭერით. პროექტის დასრულების შემდეგ მოსახლეობა 24 საათიანი უწყვეტი წყალმომარაგებით და გამართული წყალარინების სისტემით ისარგებლებს. სამუშაოების

განხორციელება ხელს შეუწყობს სოფლებში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას, ასევე ტურიზმის სტიმულირებას. აჭარის დაბებისა და სოფლების კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარებას აჭარის მთავრობა, აჭარის წყლის ალიანსი და გერმანული საკონსულტაციო კომპანიები უზრუნველყოფენ.

6. **პრაქტიკის/ინიციატივის მოკლე აღწერა:**

- **გამოწვევა** - დემოკრატიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპი ადგილობრივი თვითმმართველობის გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობაა. ხულოს მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილია სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო, რომლის ინიციატივაც მიზნად ისახავს გამჭვირვალობის, თანამონაწილეობისა და ზოგადად დემოკრატიულობის შეგრძნების გაზრდას მოქალაქეებში. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო შედგება ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით თითო წარმომადგენლისა და ხულოს მუნიციპალიტეტში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციების, ბიზნესსექტორისა და პედაგოგებისაგან. რომელთა არჩევა ხდება ხულოს მუნიციპალიტეტის მერის მიერ. ასევე აქტიურად მიმდინარეობდა და მიმდინარეობს ყოველკვირეული შეხვედრები მოსახლეობასთან ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით რომელთა ძირითად მიზანს წარმოადგენს საზოგადოებრივ განხილვებს/დისკუსიებს თვითმმართველობაში მიმდინარე აქტუალურ საკითხებზე, საბიუჯეტო პროცესების გამჭვირვალობას და ინფორმირებულობის გაზრდას, ადგილობრივი პრობლემების გამოვლენას, მათი შესაძლო გადაწყვეტის გზების ძიებას და რეკომენდაციების წარდგენას.
- **წარსული გამოცდილება** - მოქალაქეთა ჩართულობის მოდელი შექმნილია ადგილობრივი თვითმმართველობების დასახმარებლად თანამედროვე მეთოდოლოგიებისა და მექანიზმების გამოყენებით, რათა მმართველობაში მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდით ადგილობრივმა თვითმმართველობამ მიაღწიოს მართვის მეტ ეფექტიანობას. ამ მოდელის მიზანია, ჩამოაყალიბოს მითითებები თვითმმართველობის გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის ასამაღლებლად და შედეგად, სამოქალაქო საზოგადოების განსავითარებლად. „მოქალაქეთა ჩართულობის მოდელი“ წარმოადგენს დაგეგმვისა და განხორციელების პროცესს, რომელიც მიმართულია თვითმმართველობის გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდისაკენ, ასევე, სამოქალაქო საზოგადოების ჩამოსაყალიბებლად შესაბამისი გარემოს უზრუნველყოფისკენ. ამგვარი ჩართულობა ხელს შეუწყობს დემოკრატიის გაძლიერებასა და საჯარო მომსახურების გაწევის ხარისხის გაუმჯობესებას რაც აღნიშნულის შექმნამდე არაეფექტურად მიმდინარეობდა, ან საერთოდ არ ხორციელდებოდა
- **პასუხი არსებულ გამოწვევაზე** - გადაწყვეტილების მიღების პროცესში რეალური ჩართულობა არსებითად ზრდის ნამდვილ ლეგიტიმაციას. მოდელი ხელს უწყობს იმ მეთოდოლოგიებისა და ინსტრუმენტების (მექანიზმების) შექმნას, რომლებიც ეხმარება ადგილობრივ თვითმმართველობას დასახული მიზნების მიღწევაში.

მოქალაქეები, რომლებიც ჩართული არიან გადაწყვეტილების მიღების პროცესში, უფრო მეტად უჭერენ მხარს ადგილობრივ პროგრამებს. მოქალაქეთა ჩართულობა ქმნის ინფორმაციის, ცოდნისა და გამოცდილების წყაროს, რაც ხელს უწყობს საზოგადოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების და არსებული რესურსების ეფექტიანობის გაზრდას. საბოლოდ კი, ეს წაახალისებს ადგილობრივ ბიზნესმენებს შემდგომი ინვესტიციების განხორციელებაში, ისევე, როგორც კერძო ინვესტიციების სხვა რეგიონებიდან მოზიდვას. საზოგადოების ჩართულობის ეფექტური დაგეგმარება, ადგილობრივი განვითარების პროექტების ჯანსაღი განხორციელება და საჯარო ინვესტიციებისთვის ხარჯების გამჭვირვალე შეფასება ზრდის მომავალი პროექტებისთვის დამატებითი ფინანსური მხარდაჭერის მოზიდვის შანსს. კულტურის, ბიზნესის, განათლების, ტურიზმისა და სპორტის სფეროში სამოქალაქო ჩართულობის გზით სხვადასხვა ერთობლივი საქმიანობის განმახორციელებელ მუნიციპალიტეტებს მეტი უნარი შესწევთ დაამყარონ პარტნიორული ურთიერთობა სხვა ქალაქებსა და მუნიციპალიტეტებთან, რეგიონალურ, ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე. მოქალაქეთა ჩართულობის ზრდა გამოავლენს საზოგადოების წევრების შემოქმედებით პოტენციალს. მათ უფრო მეტად ენდომებათ, დრო და რესურსები მიმართონ საზოგადოებრივი საქმიანობებისკენ. რაც ასევე ამცირებს ხარჯს ადამიანურ რესურსზე. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის თანამდებობის პირებს, რომლებმაც გამოამჟღავნეს მმართველობითი უნარ-ჩვევები და მიაღწიეს თვალში საცემ შედეგებს მოქალაქეთა ჩართულობის განვითარებაში, უფრო დიდი შანსი აქვთ, კვლავ იქნენ არჩეულნი.

7. **განხორციელებული პრაქტიკის/კონკრეტული ინიციატივის დეტალური აღწერა:**

- **პროექტის შინაარსი** - მოქალაქეთა ჩართულობა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტის დაგეგმვაში. ბიუჯეტის მომზადების პროცესი – ეს საკითხი სპეციფიკურია გამომდინარე იქედან, რომ ეს იძლევა მექანიზმებს, რომლებიც მოქალაქეებს საშუალებას აძლევს გავლენა მოახდინონ ბიუჯეტის მომზადებაზე. გამომდინარე აქედან წინასწარ ხდება ინფომრაციის მიწოდება მოაქალაქეებისათვის აღნიშნულ თემებთან დაკავშირებით, სადაც ასახულია ბიუჯეტის პროექტის განმარტებები. განცხადება შეიცავს უბრალოდ ბიუჯეტის პროექტს, მარტივად გასაგები საზოგადოების ფართო სპექტრისათვის. ეს ინფორმაცია ეხმარება რიგით მოქალაქეს, მიიღოს ინფორმაცია მუნიციპალიტეტის ფინანსური მდგომარეობის, მომავალი წლის პრიორიტეტების, განსახორციელებელი პროგრამების შესახებ, მანამ, სანამ საკრებულო ოფიციალურად დაამტკიცებს თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტს.

- **აქტივობათა გეგმა/გრაფიკი:** ფართომასშტაბიანი კამპანიის ფარგლებში რომელშიც გათვალისწინებულია მოსახლეობის მოთხოვნილებების შესწავლა-გამოკითხვების გზები, კონკრეტული პრობლემების იდენტიფიცირება, პრიორიტეტების განსაზღვრა ასევე სხვადასხვა პრობლემის თუ იდეების მოსმენა განხილის მიზნით. ადგილობრივი

თვითმმართველობის საქმიანობის ყველა ასპექტში მნიშვნელოვანია საზოგადოებასთან ჩართულობის ელემენტი სწორედ ამიტომ აქტივების მართვა, ეკონომიკური დაგეგმარება, ფინანსური მენეჯმენტი თუ სხვა სფეროები ორიენტირებულია ადგილობრივი მუნიციპალიტეტის მოქალაქეებთან, ბიზნესსექტორთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან და სხვა ინსტიტუტებთან თანამშრომლობაზე, განსაკუთრებით ამ ვითარებაში, როდესაც თვითმმართველობის ფართომასშტაბიანი ღონისძიებები იგეგმება. სწორედ ამიტომ აქტიურად მიმდინარეობდა და მიმდინარეობს ხულოს მუნიციპალიტეტში თვითმმართველობის მიერ ბიუჯეტის დაგეგმვის პროცეში მოქალაქეთა ჩართულობა. 2020 წელს ჩატარდა მოსახლეობის ჩართულობით ბიუჯეტის პროექტის განხილვა, ასევე 13-ივე ადმინისტრაციულ ერთეულში ჩატარდა აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით შეხვედრები და პრიორიტეტების განსაზღვრის შემდეგ დაიგეგმა ბიუჯეტი, რომლის ონლაინ განხილვაც მოეწყო. ასევე გაზრდილი ბიუჯეტის ფარგლებში ჩატარდა შეხვედრები მოსახლეობასთან, წლის ბოლოს კი მერის ანგარიში მოსახლეობისთვის თუ რა მიმართულებით მოხდა ბიუჯეტის განკარგვა. ბიუჯეტთან დაკავშირებული ონლაინ განხილვები და მოსახლეობასთან შეხვედრები მიმდინარე წელსაც აქტიურად მიმდინარეობდა 13-ივე ადმინისტრაციულ ერთეულში. მოსახლეობა ყოველთვის არის ინფორმირებული მუნციპალიტეტში ყველა ღონისძების შესახებ, მერის ინიციატივით ყოველკვირეული შეხვედრები ტარდება მოსახლეობასთან თემების მიხედვით, ასევე აქტუალურია მოქალაქეების მიღების პროცესი ხელმძღვანელ პირებთან.

აქტივობები:

- 17.11.2021 სოფელ დიოკნისში თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ადმინისტრაციული შენობის მშენებლობის შესახებ https://www.facebook.com/media/set/?set=a.415642186875645&type=3
- 01.12.2021 ხულოს მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის პროექტის საჯარო განხილვა მოეწყო ონლაინ https://www.facebook.com/KhuloCityHall/photos/425625915877272
- 30.11.2021 ინფომაცია ბიუჯეტის პროექტის განხილვის შესახებ ონლაინ https://www.facebook.com/KhuloCityHall/photos/a.141033434336523/424924929280704/
- 24.11.2021 2022 წლის ბიუჯეტის პროექტის საჯარო განხილვა https://www.facebook.com/media/set/?vanity=KhuloCityHall&set=a.420431149730082
- 09.12.2020 2021 წლის ბიუჯეტის პროექტის საჯარო განხილვა https://www.facebook.com/KhuloCityHall/photos/183740906732442
- 08.12.2020 2022 წლის ბიუჯეტის პროექტის საჯარო განხილვა https://www.facebook.com/KhuloCityHall/photos/182919063481293

- 16.07.2021 გაზრდილი ბიუჯეტის ფარგლებში მოსახლეობასთან შეხვედრები დაბა ხულო
https://www.facebook.com/media/set/?set=a.333593885080476&type=3
- 15.07.2021 გაზრდილი ბიუჯეტის ფარგლებში მოსახლეობასთან შეხვედრები დაბა ხულო
https://www.facebook.com/media/set/?set=a.332683285171536&type=3
- 10.07.2021 გაზრდილი ბიუჯეტის ფარგლებში მოსახლეობასთან შეხვედრები ვაშლოვანის, აგარის და საციხურის მოსახლეობასთან
https://www.facebook.com/media/set/?set=a.329690785470786&type=3
- 09.07.2021 გაზრდილი ბიუჯეტის ფარგლებში მოსახლეობასთან შეხვედრები დიდაჭარა
https://www.facebook.com/media/set/?set=a.328853812221150&type=3
- 01.07.2021 გაზრდილი ბიუჯეტის ფარგლებში მოსახლეობასთან შეხვედრები - აჭარის მთავრობის გასვლითი სხდომა კურორტ გოდერძიზე
https://www.facebook.com/media/set/?set=a.323536102752921&type=3
- 06.07.2021 გაზრდილი ბიუჯეტის ფარგლებში მოსახლეობასთან შეხვედრები თხილვანისა და ხიხაძირი
https://www.facebook.com/media/set/?set=a.326891369084061&type=3
- 25.06.2020 მერი ანგარიში
https://www.facebook.com/media/set/?set=a.103914634715070&type=3
- 25.06.2020 ანგარიშის წარდგენა საციხურის და დიდაჭარის ადმინისტრაციულ ერთეულებში
https://www.facebook.com/media/set/?set=a.103912268048640&type=3
- 25.06.2020 ანგარიშის წარდგენა ხიხაძირში
https://www.facebook.com/media/set/?set=a.103910274715506&type=3
- 25.06.2020 ,,ღია შეხვედრები" დიაკონიძეების, ელელიძეების, გოდგაძეების, ირემაძეების, საციხურის, გელაურის, პანტნარისა და აგარის მოსახლეობასთან
https://www.facebook.com/media/set/?set=a.103870728052794&type=3
- 25.06.2020 წყლის და წყალარინების სისტემების საპილოტე ადგილების შერჩევა ფუშრუკაული, ხიხაძირი, თხლვანა
https://www.facebook.com/media/set/?set=a.103831174723416&type=3
- 25.06.2020 ,,ღია შეხვედრები" ფუშრუკაული, ხიხაძირი და თხილვანა
https://www.facebook.com/media/set/?set=a.103828481390352&type=3

- **ინფორმაცია მოქალაქეების, სხვადასხვა ორგანიზაციებისა და ინსტიტუციების ჩართულობის შესახებ:** აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით ჩართული იყვნენ როგორც სამიზნე აუდიტორია, ასევე, ადგილობრივი სათემო ორგანიზაციები, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები, დასახლების საერთო კრების, მერის მრჩეველთა საბჭო, კერძო სექტორის წარმომადგენლები, საჯარო დაწესებულებების წარმომადგენლები და ა.შ.

- **ინფორმაცია პროექტისთვის გამოყენებული რესურსის შესახებ.**
  ა) ადამიანური რესურსი - ხულოს მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაცია;
  ბ) ფინანსური - მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი
  გ) გამოყენებული მატერიალურ-ტექნიკური რესურსი - ხულოს მერიის რესურსი

- **პროექტის განხორციელების პროცესში გამოკვეთილი პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების აღწერა** - მოქალაქეთა ჩართულობა ქმნის პლატფორმას მნიშვნელოვანი დიალოგისთვის, რომელიც საშუალებას აძლევს უწყებებს, მიაწოდონ ინფორმაცია საზოგადოებას და მოითხოვონ მოქალაქეებისგან რჩევები კარგი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, რესურსების მინიმალური ათვისებით. ამასთან, ეს ნიშნავს მოქალაქეების გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართვას, როდესაც საზოგადოება თანამშრომლობით განხორციელებული გადაწყვეტილებების გამართლებისა და მხარდაჭერისათვის თავადაც შეიძლება გამოყოფდეს გარკვეულ რესურსებს. პროექტის დასაწყისში იყო მოსახლეობის უარყოფითი დამოკიდებულება, აღნიშნული თემისადმი, ინტერესის ნაკლებობა, თუმცა როდესაც დაიწყო აღნიშნული პროექტის განხორციელება ეტაპობრივად ბევრმა მოქალაქემ გამოთქვა სურვილი პროექტში ჩართვის. რამდენიმე შეხვედრის შემდეგ მოსახლეობისთვის გასაგებია აღმოჩნდა, რომ ეს იყო და არის შესაძლებლობა, მოსახლეობამ თავად შეაფასოს პრობლემები და მოთხოვნილებები საკუთარი გამოცდილებიდან გამომდინარე და გადაჭრის გზებიც თავად შეიმუშაონ.

8. მიღწეული შედეგი და დადებითი გავლენა:

გავრცელებული შეხედულებაა, რომ მოქალაქეთა ჩართულობა აბსტრაქტული საკითხია და ის დემოკრატიას მხოლოდ ქაღალდზე აუმჯობესებს, მაგრამ არ მივყავართ რეალურ შედეგებამდე. პროექტის ერთ-ერთი მიზანი აღნიშნული შეხედულების შეცვლა და ჩართულობის მიმართვა იყო ადგილობრივი საზოგადოებრივი მენეჯმენტის გასაუმჯობესებლად. ეს საკითხი ერთი შეხედვით ადვილად გამოიყურება, თუმცა, ფაქტობრივად, იგი, როგორც თავიდანვე აღინიშნა, მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული შესაბამის მოსახლეობის მხრიდან ჩართულობის ნების გამოვლენაზე. პროექტის მთავარი გზავნილები შემდეგია:

- მოქალაქეთა ჩართულობა არის მართვის ინსტრუმენტი და ის ხელს უწყობს მენეჯმენტის ეფექტურობას
- მოქალაქეთა კონსტრუქციული ჩართულობა ადგილობრივ ხელისუფლებასა და სამოქალაქო ჯგუფებს შორის პარტნიორობის მაღალი ხარისხის შემთხვევაში მიიღწევა

9. მიღებული გამოცდილება და გაკეთებული დასკვნები: გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობამ მოგვცა გამოცდილება, რაც რამდენიმე ფაქტორითაა გაპირობებული:

- მოქალაქეთა დარწმუნება;
- ნდობის ამაღლება;
- საზოგადოებაში არსებული სპერეოტიპების გაქარწყლება
- სტრატეგიული თანამშრომლობის შექმნა
- გადაწყვეტილებათა ლეგიტიმაციის გაზრდა

- მონაწილეობის შეფერხებების გადალახვა - კონკრეტული შედეგების მიღება
- მოქალაქეთა ჩართულობა ადგილობრივი თვითმართელობის საქმინობაში

უპირველეს ყოვლისა, მაგსვი ღონისძებები ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეებისთვის და საკანონმდებლო რეფორმაზე მომუშავე პირთათვის ძალიან მნიშვნელოვანია. თუმცა მსგავსი პრაქტიკა მნიშვნელოვანი, სასარგებლო და აქტუალური იქნება მოქალაქეთა ჩართულობის სპეციალისტებისა და იმ პირებისთვის, რომლებიც დაინტერესებულნი არიან ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხებით, არასამთავრობო სექტორისათვის, აქტიური მოქალაქეებისა და სხვა დაინტერესებული პირებისათვის. იმედს ვიტოვებთ, აღნიშნული პრაქტიკა შეძლებს ეფექტური თვითმმართველობის შექმნაში წვლილის შეტანას და მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდას, რაც, თავის მხრივ, მნიშვნელოვან როლს შეასრულებს განვითარებისა და ადგილობრივი ცხოვრების გაუმჯობესების პროცესში.

- **წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორები** აღნიშნული პროექტი მნიშვნელოვანი წინაპირობაა სტაბილური განვითარებისთვის, რასაც თან ახლავს საერთო ხარისხის გაუმჯობესება. სტრატეგიული დაგეგმვის ფორმატი და თვითმმართველობის სამომავლო ხედვის დაგეგმვის ფაქტორების გათვალისწინება

- **ინფორმაცია პრატიკის/ინიციატივის მდგრადობის შესახებ:**
  ა) პროექტის შედეგად მუნიციპალური სერვისის მიწოდებაში ასახული ცვლილება - მოქალაქეთა მაღალი ინტერესი და ჩართულობა ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობაში
  ბ) პროექტის შედეგად ადგილობრივ ბუჯეტში ასახული ცვლილება - მოსახლეობის საჭიროებებზე მორგებული და პრიორიტეტების მიხედვით დაგეგმილი ბიუჯეტი
  გ) მოსახლეობის მხარდაჭერა - კი
  დ) შეტანილია თუ არა პროექტი მომავალი წლის ბიუჯეტში - მომდევნო წელს გვაქვს მონაწილოებითი ბიუჯეტი რომელიც მოქალაქეებს საშუალებას მისცემს კენჭისყრის საფუძველზე ხმათა უმრავლესობით გადაწყვიყონ პრობლემური საკითხები თავიანთ სოფლებში

10. **საკრებულოს როლი:**

- **პროექტის/ინიციატივის დაგეგმვის, განხორციელების, შედეგების შეფასების საკითხში -** მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის სხდომებში მონაწილეობა - სხდომები საჯაროა, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ნებისმიერ პირს აქვს უფლება, წინასწარი შეტყობინების ან/და წინასწარი ნებართვის გარეშე დაესწროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მისი კომისიის საჯარო სხდომებს. საჯარო სხდომებზე დამსწრე პირებს უფლება აქვთ, დაუსვან შეკითხვები თავმჯდომარეს, მომხსენებელს და თანამომხსენებელს. საკრებულოს როლი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აღმასრულებელი ორგანოს მიერ ფინანსური რესურსების სწორად და მიზნობრივად ხარჯვის პროცესში. ჩვენ მუნიცპალიტეტი არის კარგი მაგალითი იმისა თუ როგორ შეიძლება ფუნქციები ჰქონდეს გადანაწილებული აღმასრულებელ და

საკანონმდებლო ორგანოს, თვითმმართველობის საქმიანობის სწორად და ეფექტურად განხორციელების პროცესში

- **საუკეთესო პრაქტიკის პროგრამის კონკურსში მონაწილეობისათვის პრეოქტის/ინიციატივის შერჩევის საკითხში** - საკრებულოს დეპუტატებმა გამოთქვეს სურვილი რათა მიგვეღო მონაწილეობა აღნიშნულ კონკურსში
- **როგორი იყო საკრებულოში არსებული ფრაქციების დამოკიდეულება ამ პრაქტიკის/ინიციატივის მიმართ** - დადებითი

11. **პრატიკასთან/ინიციატივანსთან ან ამავე საკითხთან დაკავშირებული, სამომავლო გეგმების მოკლე მიმოხილვა** - ხულოს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმაღთველობა ყოველთვის მზად არის სიახლეებისთის, რაც ხელს შეუწყობს მოქალაქეთა უფრო მაღალ ჩართულობას ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობაში და ბიუჯეტის სწორად და მიზნობრივად განკარგვის პროცესში

12. **საკონტაქტო ინფორმაცია:**
    - **განაცხადის შევსებაზე პასუხისმგებელი პირის მონაცემები:** თამარ ცეცხლაძე, ტელეფონი: 597 11 10 87, ელ. ფოსტა tamar.tsetskhladze.pa20@gipa.ge
    - **პროექტის საკონტაქტო პირების მონაცემები**: თამარ ცეცხლაძე, ტელეფონი: 597 11 10 87, ელ. ფოსტა tamar.tsetskhladze.pa20@gipa.ge